



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტრედი



მტრედი. გარეული
მტრედი. გვიძინი.



მტრედი. ქედანი.

მტრედი (Columba), ფრინველთა გვარი მტრედისებრთა ოჯახისა. მოიცავს 35 სახეობას, რ-თაგან საქართველოში ბინადრობს სამი: გარეული **მ.** (C. livia), გვიძინი ან გულიო (C. oenas) და ქედანი (C. palumbus). **მ.**-ის ფრთის შლილია 20-27 სმ, მასა - 200-650 გ. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში, მ. შ. ყველაზე ფართოდ - გარეული **მ.**, რ-იც ინტროდუცირებულია ყველა კონტინენტზე. **მ.** მოშინაურებულია 5000, ზოგი მონაცემით 10000 წლის წინ. მისგან გამოყვანილია შინაური მ-ის 800-ზე მეტი ჯიშ.

ა. ბუხნიკაშვილი
